საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ ქ. თბილისში, ჯიქიას ქ. N5-ში მდებარე სამსართულიანი შენობის სარეაბილიტაციო სამშენებლო-სარემონტო და სამონტაჟო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა „ელექტრონული ტენდერის“ საშუალებით

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი
2013 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია „გამარტივებულ ტენდერში“ მონაწილეთათვის ---------- 3
2. შესყიდვის ობიექტი ---------- 4
3. სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოების ჩატარების ტექნიკური პირობები (ტექნიკური დავალება)---- 4
4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ---------- 6
5. სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი დოკუმენტები და ინფორმაცია ----------7
6. საგარანტიო ვადები ----------7
7. საკონტაქტო პირები ----------7
8. დანართი N1 ----------8

ინსტრუქცია
„გამარტივებულ ტენდერში“ მონაწილეთათვის

1. ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა – ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლის პორტალი განთავსებულია შესყიდვების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) ოფიციალურ ვებ-გვერდზე **www.procurement.gov.ge**.

ა) „სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებელთა სახელმძღვანელო“;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.

2. სახელმწიფო შესყიდვების პორტალზე განთავსებული ელექტრონული სისტემის (შემდგომში – სისტემა) მეშვეობით განხორციელებული ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა (შემდგომში - შესყიდვა) უზრუნველყოფს „გამარტივებული ელექტრონული ტენდერის“ ან „ელექტრონული ტენდერის“ ჩატარებას ღია, გამჭვირვალე და კონკურენტულ გარემოში.

ტექნიკური დოკუმენტაცია

1. შესყიდვის ობიექტი:

1.1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ ქ. თბილისში, ჯიქიას ქ. N5-ში მდებარე სამსართულიანი შენობის სარეაბილიტაციო სამშენებლო-სარემონტო და სამონტაჟო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა (**CPV – 45300000**) „ელექტრონული ტენდერის“ საშუალებით.

1.2. სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის თანახმად, სამუშაოების საერთო სავარაუდო ღირებულება განსაზღვრულია 1 680 945,0 (ერთი მილიონ ექვსასოთხმოცი ათას ცხრაასორმოცდახუთი ლარი) ლარის ოდენობით, შესაბამისი გადასახადების (მათ შორის - დღგ), მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გათვალისწინებით.

2. სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოების ჩატარების ტექნიკური პირობები (ტექნიკური დავალება):

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია სატენდერო წინადადების წარმოდგენამდე გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი წარმოდგენილი იქნება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

2.2. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული ბეჭდით.

2.3. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

2.4. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის (მათ შორის დღგ), მოსაკრებელის და გადასახდელის გათვალისწინებით.

2.5. სატენდერო წინადადება, ასევე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

2.6. ალტერნატიული სატენდერო წინადადება არ განიხილება.

2.7. ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად გამოყენებული ყველა ძირითადი მასალის შესახებ (დასახელება, მოდელის/მარკის, მწარმოებლის და წარმოშობის ქვეყნის მითითებით). ამასთან, ვაჭრობის დამატებითი რაუნდების შედეგად ფასის ცვლილების შემთხვევაში შემოთავაზებული მასალის შეცვლა სხვა, უფრო დაბალი ხარისხის ანალოგიური საქონლით დაუშვებელია.

2.8. სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალა-მოწყობილობები უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს. შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია მოითხოვოს შესაბამისობის სერტიფიკატი მშენებლობის პროცესში გამოყენებულ მასალებსა და მოწყობილობებზე.

2.9. სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალების და მოწყობილობების ტიპი და ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები (ხარისხი, ფაქტურა და სხვა) თანხმდება შემსყიდველთან. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალა ან მოწყობილობა ან შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება აღიარებულ სტანდარტებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით ჩაანაცვლოს შემსყიდველისთვის მისაღები მასალა, მოწყობილობა ან/და სხვაგვარად შეასრულოს სამუშაო.

2.10. სამუშაოების შესრულების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას საერთაშორისო და საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმები და სტანდარტები.

2.11. სამშენებლო სამუშაოების შესრულების პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას და უზრუნველყოს სამშენებლო მოედნის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების დაუზიანებლობა და სიცოცხლისუნარიანობა, ასევე მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვერის გარემოზე გავლენა.

2.12. შემოთავაზებული ფასი უნდა მოიცავდეს უშუალოდ სარეაბილიტაციო სამშენებლო–სარემონტო და სამონტაჟო სამუშაოების სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა

ხარჯს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს და გადასახდელს, მათ შორის, მოხმარებული კომუნალური გადასახადების ღირებულებას (ელექტროენერგია, წყალი, გაზი და სხვა).

2.13. სატენდერო წინადადების ფასში გაუთვალისწინებელი ხარჯები არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

2.14. პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ სატენდერო წინადადების ფასში გათვალისწინებული უნდა იქნეს დამატებითი ღირებულების გადასახადიც (დღგ).

2.15. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამარჯვებულმა მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ბანკის მიერ გაცემული ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ის ოდენობით. აღნიშნული საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებამდე და მისი მოქმედების ვადა სულ მცირე 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

2.16. მიმწოდებელს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2.17. მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორება შემდეგი ფორმით:

2.17.1. შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ შესაძლებელია განხორციელდეს საავანსო თანხის გადარიცხვა;

2.17.2. საავანსო თანხის ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს საერთო სახელშეკრულებო ღირებულების 20%–ს;

2.17.3. საავანსო საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის გადახდა განხორციელდება საგარანტიო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღემდე ვადაში;

2.17.4. ავანსის გაცემის შემთხვევაში შესრულებულ სამუშაოებზე ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად მიწოდებული სამუშაოების (რომელიც დადასტურებული იქნება ფორმა N2–ით, მიღება–ჩაბარების აქტით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადახდო დოკუმენტაციით) ღირებულების მიხედვით, საიდანაც გადასახდელი თანხის 25% მიმართული იქნება გაცემული ავანსის დასაფარად;

2.17.5. ზემოაღნიშნული გრაფიკით ანგარიშსწორება განხორციელდება გაცემული საავანსო თანხის სრულად ამოწურვამდე.

2.18. იმ შემთხვევაში, თუ არ გამოიყენება საავანსო ანგარიშსწორება, გადახდები მიმწოდებელთან განხორციელდება სამუშაოების სრულად ან შესაბამისი ეტაპების (სამუშაოს მოწოდების გრაფიკი - ასეთის არსებობის შემთხვევაში) დასრულების შემდეგ, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა N2-ის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადახდო დოკუმენტაციის და საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღემდე ვადაში.

2.19. საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით (გადარიცხვით, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე), ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით, მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა N2-ის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადახდო დოკუმენტაციის და სსიპ - „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, როცა საბოლოოდ დადგინდება შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით და მის საფუძველზე გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

2.20. მიმწოდებელი წინადადების წარდგენის დღიდან უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ უნდა იყოს რეგისტრირებული კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს „შავ სიაში“.

2.21. მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს არანაკლებ 3 (სამი) დადებითი რეკომენდაცია შემსყიდველი ორგანიზაციებიდან, მის მიერ უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ხარისხიანად, სრულად და დროულად შეასრულების შესახებ. ამასთან, თითოეული ასეთი ან ანალოგიური დასრულებული სამუშაოს საკონტრაქტო ღირებულება უნდა აღემატებოდეს 200,0 ათას ლარს.

2.22. მიმწოდებელს უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში (წინადადების წარდგენის დღემდე) უნდა ჰქონდეს არანაკლებ 6 000,0 ათასი ლარის საერთო ბრუნვა.

2.23. სამუშაოების შესრულების ვადა არ უნდა აღემატებოდეს, შესაბამისი შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებიდან 100 (ასი) სამუშაო დღემდე პერიოდს.

3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

3.1. **ფიზიკური პირისათვის:**

3.1.1. ცნობა ფიზიკური პირის ქმედუნარიანობის შესახებ (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

3.1.2. პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

3.1.3. ცნობა შესაბამისად თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან (მიმწოდებლის იურიდიული მისამართის მიხედვით), რომ არ მიმდინარეობს მისი გადახდისუუნარობის საქმისწარმოება;

3.1.4. ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

3.1.5. ფიზიკური პირის მისამართი, პირადი ნომერი, საბანკო და სხვა რეკვიზიტები.

3.2. იურიდიული პირისათვის:

3.2.1. ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

3.2.2. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ და რომ არ მიმდინარეობს პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

3.2.3. ცნობა შესაბამისად თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან (მიმწოდებლის იურიდიული მისამართის მიხედვით), რომ არ მიმდინარეობს მისი გადახდისუუნარობის საქმისწარმოება;

3.2.4. ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტებისადმი პირის დავალიანების არარსებობის და ბოლო 3 წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების (წლიური ბრუნვები) შესახებ;

3.2.5. იურიდიული პირის დასახელება, მისამართი, საიდენტიფიკაციო ნომერი, საბანკო და სხვა რეკვიზიტები.

3.3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ანალოგიურად ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც (მათი არსებობის შემთხვევაში).

4. პრეტენდენტმა (მიმწოდებელმა) ტექნიკური დოკუმენტაციის სახით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

4.1. პირის რეკვიზიტები (იურიდიული მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი (პირადი ნომერი), საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი და სხვა);

4.2. სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის საერთო ფასის ფარგლებში შედგენილი ხარჯთაღრიცხვა, რომლის ოდენობა უნდა იყოს შემყიდველის მიერ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში ატვირთული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობების შესაბამისად დადგენილ საერთო ფასზე ნაკლები;

4.2.1. კონკურენტი (მიმწოდებელი) უფლებამოსილია, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემსყიდველის მიერ ატვირთულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოთხოვნების თანახმად წარმოდგენილ წინადადებასთან ერთად ატვირთოს საერთაშორისო სატანდარტების შესაბამისად დადგენილი ინოვაციური ტექნოლოგიების საფუძველზე შედგენილი ხარჯთაღრიცხვაც, რომელიც გააიაფებს პროექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას, გამოყენებული ალტერნატიული სამშენებლო მასალების და მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენების ხარჯზე.

4.3. სამუშაოების განხორციელების ვადები გეგმა-გრაფიკის სახით;

4.4. არანაკლებ 3 (სამი) დადებითი რეკომენდაცია, გაცემული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ პრეტენდენტის (მიმწოდებელი) მიერ უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ხარისხიანად, სრულად და დროულად შეასრულების შესახებ. ამასთან, თითოეული ასეთი ან ანალოგიური დასრულებული სამუშაოს საკონტრაქტო ღირებულება უნდა აღემატებოდეს 200,0 ათას ლარს.

4.5. დამოწმებული ინფორმაცია პრეტენდენტის (მიმწოდებელი) მიერ უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში (წინადადების წარდგენის დღემდე) არანაკლებ 6 000,0 ათასი ლარის საერთო ბრუნვის შესახებ.

4.6. ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად გამოყენებული ყველა ძირითადი მასალის შესახებ (დასახელება, მოდელი/მარკა, მწარმოებელი და წარმოშობის ქვეყანა). ამასთან, ვაჭრობის დამატებითი რაუნდების შედეგად ფასის ცვლილების შემთხვევაში უკვე შემოთავაზებული მასალის ჩანაცვლება სხვა, უფრო დაბალი ხარისხის ანალოგიური მასალით დაუშვებელია.

4.7. საგარანტიო ვალდებულება.

4.8. **პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული ბეჭდით.**

5. განხორციელებულ სამუშაოზე უნდა გავრცელდეს შემდეგი საგარანტიო ვადები:

5.1. კონსტრუქციული ნაწილი - 10 წელი;

5.2. სამღებრო სამუშაოები - 3 წელი;

5.3. სანტექნიკა და მილგაყვანილობის ქსელი - 7 წელი;

5.4. მოსაპირკეთებელი სამუშაოები - 7 წელი.

6. საკონტაქტო პირები:

შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის და განმარტებების მიღება შეუძლიათ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (მისამართი: ქ. თბილისი თამარაშილის ქ. N15ა) სატენდერო კომისიის აპარატის წევრებისგან:

ა) მაიკო მიქაია, ტელეფონი: 231 15 80, ელ. ფოსტა: maiko_mikaia@yahoo.com - სატენდერო პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ბ) გია ნაჭყებია ტელ: 599 03 54 37 - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

აფიდავიტი

სატენდერო ნინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო ნინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო ნინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო ნინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმონერაც დაფიქსირებულია სატენდერო ნინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო ნინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო ნინადადების ფასი;
- სატენდერო ნინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო ნინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო ნინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მინოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო ნინადადება;

* სატენდერო ნინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო ნინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო ნინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195^1 მუხლის შესაბამისად.

ONS FROM THE OCCUPIED TERRITORIES, ACC